

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე.

ცენტრის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს.

მიზნის მისაღწევად, კოლეჯი: უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით; ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას; ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას; ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად; ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას; თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას; ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ცენტრში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები არის გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან. ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული და პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. სასწავლებელს არსებობს მუდმივად ინტერნეტში ჩართული, პროექტორით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები და სასწავლო აუდიტორიები. პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან.

სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საკონტაქტო ინფორმაცია:

www.profldani.ge

მისამართი: ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.;

ტელ: 570503001, 2140314

ხელმძღვანელი - ნოდარ ხარაზიშვილი.